

ბავშვის უფროსთან და თანატოლთან საუბრის შედარებითი ანალიზი

მარიამ მეზურიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების
თერაპიის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

სარჩევი

აბსტრაქტი	3
Abstract	5
შესავალი	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
ენის განვითარება 3-დან 5 წლამდე ასაკში	10
განსხვავებები ენის გამოყენებაში	11
საუბრის ანალიზი ბავშვთა ენის კვლევაში	16
კვლევის მეთოდები	16
კვლევის დიზაინი	16
კვლევის მონაწილეები.....	17
პროცედურა	17
კვლევის ცვლადები.....	19
შედეგები.....	20
სასაუბრო ჯერის მიმოცვლა თანამოსაუბრესთან	20
ლექსიკური მრავალფეროვნება თანამოსაუბრესთან.....	22
MLU-m	24
წინადადების სიგრძე	26
ბავშვის სიმბოლური გამონათქვამები	28
დისკუსია	34
შეჯამება	38
კვლევის ღირებულება და შეზღუდვები	39
გამოყენებული ლიტერატურა.....	41
დანართი 1	45
დანართი 2	47
დანართი 3	49

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ერთი ბავშვის სპონტანური ენის ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, როგორ განსხვავდება მისი ლინგვისტური ქცევა საკომუნიკაციო პარტნიორთან, თანატოლთან ან ზრდასრულთან, ურთიერთობის მიხედვით. კვლევა ყურადღებას ამახვილებს ენის, როგორც სინტაქსურ და ლექსიკურ, ისე პრაგმატულ ასპექტებზე. მაგალითად, იმაზე თუ რამდენად ხშირად და როგორ იყენებს ბავშვი სიმბოლურ გამონათქვამებს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში.

მონაცემები მოიცავს ბავშვის 3-5 წლის ასაკში გადაღებული ვიდეოჩანაწერების ანალიზს. ლინგვისტური ანალიზისთვის გამოყენებულია შემდეგი: გამონათქვამის საშუალო სიგრძე (MLU), საუბრისას ჯერის მონაცვლეობის საშუალო სიგრძე (MTU) და ლექსიკური მრავალფეროვნება (Type/Token ratio), რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს ენის სირთულე და ლექსიკური მრავალფეროვნება. MLT-სა და Type/Token-ის დამუშავება მოხდა CLAN-ის პროგრამის საშუალებით. MLU-ს დამუშავება მოხდა ხელით და შემდეგ რაოდენობრივ მონაცემებში ასახვა. ხოლო სიმბოლური გამონათქვამების დამუშავება მოხდა თვისობრივი ანალიზით.

კვლევა მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ როგორ იცვლება ენა სხვადასხვა საკომუნიკაციო პარტნიორის მიხედვით და როგორ გავლენას ახდენს თავად მოსაუბრის ენა ბავშვზე. ამ გზით, კვლევა ავლენს სოციალური ურთიერთქმედების გავლენას ბავშვის ლექსიკურ-სემანტიკურ განვითარებაზე და ხელს უწყობს მეტყველებისა და ენის განვითარების პროცესის სიღრმისეულ გაგებას.

შედეგებმა აჩვენა, რომ ზრდასრულებთან კომუნიკაციისას ბავშვის სასაუბრო ჯერის საშუალო სიგრძე (MLT) უფრო მაღალი იყო, ხოლო თანატოლებთან ურთიერთობისას ლექსიკური მრავალფეროვნება (TTR) იყო მეტი. ასევე, ბავშვი საშუალოდ უფრო მეტ სიმბოლურ გამონათქვამს იყენებდა თანატოლებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით 4.8 წლის ასაკში, რაც ხელს უწყობდა უფრო კოოპერატიული და დაგეგმილი სათამაშო სქემების განვითარებას. ამ გზით, კვლევა ავლენს სოციალური ურთიერთქმედების გავლენას ბავშვის ლექსიკურ-სემანტიკურ განვითარებაზე და ხელს უწყობს მეტყველებისა და ენის განვითარების პროცესის სიღრმისეულ გაგებას.

საკვანძო სიტყვები: სიმბოლური გამონათქვამები, საკომუნიკაციო პარტნიორები, სპონტანური მეტყველების ანალიზი

Abstract

The present study aims to determine, based on the analysis of one child's spontaneous language, how their linguistic behavior differs in interaction with communication partners - peers versus adults. The research focuses on both syntactic and lexical as well as pragmatic aspects of language. For example, how frequently and in what ways the child uses symbolic expressions in different social contexts.

The data includes analysis of video recordings of the child between ages 3-5 years. For linguistic analysis, the following measures were used: Mean Length of Utterance (MLU), Mean Turn Length during conversation (MTU), and lexical diversity (Type/Token ratio), which allows for assessment of language complexity and lexical variety. MLT and Type/Token processing was conducted using the CLAN program. MLU processing was done manually and then reflected in quantitative data. Meanwhile, symbolic expressions were processed through qualitative analysis.

The study aims to determine how language changes according to different communication partners and how the interlocutor's own language influences the child. In this way, the research reveals the impact of social interaction on the child's lexical-semantic development and contributes to a deeper understanding of the speech and language development process.

The results showed that during communication with adults, the child's Mean Turn Length (MLT) was higher, while in interactions with peers, lexical diversity (TTR) was greater. Additionally, the child used on average more symbolic expressions when interacting with peers, particularly at age 4.8 years, which facilitated the development of more cooperative and planned play schemes. Thus, the research reveals the impact of social interaction on the child's lexical-semantic development and contributes to a deeper understanding of the speech and language development process.